პროფკავშირთა XIV ყრილობამ მუშაობა დაამთავრა

4 მარტს კრემლში დამთავრდა სსრ კავშირის პროფესიული კავშირების XIV ყრილობა.

დღის სხდომაზე ხმის დამთვლელი კომისიის თავმჯდომარემ გ. ა. მაკეევმა გამოაცხადა ფარული კენჭისყრის შედეგები. საბჭოთა კავშირის პროფესიული კავშირების ცენტრალური საბჭოს ახალ შემადგენლობაში არჩეულია 304 წევრი და 105 კანდიდატი. ცენტრალური სარევიზიო კომისიის შემადგენლობაში არჩეულია 55 კაცი.

სალამოს გაიმართა საბოლოო სხდომა.

დელეგატები და სტუმრები მჭუხარე ტაშით შეხვდნენ დარბაზში შემოსულ ამხანაგებს ა. პ. კირილენკოს, ა. ი. პელშეს, ნ. ვ. პოდგორნის, დ. ს. პოლიანსკის, ა. ნ. შელეპინს, ი. ვ. ანდროპოვს, ვ. ვ. გრიშინს, დ. თ. უსტინოვს, ი. ვ. კაპიტონოვს, მ. ს. სოლომენცევს.

ყრილობამ ერთსულოვნად მიიღო რეზოლუცია საბჭოთა კავშირის პროფესიული კავშირების ცენტრალური საბჭოს საანგარიშო მოხსენების გამო.

შემდეგ დელეგატებმა მიიღეს დადგენილება სსრ კავშირის პროფესიული კავშირების წესდებაში ნაწილობრივ ცვლილებათა შესახებ.

ყრილობის დელეგატები ტაშის გრიალით შეხვდნენ წინადადებას, რომ პროფკავშირთა XIV ყრილობის სახელით მისასალმებელი წერილი გაუგზავნონ სკკპ ცენტრალურ კომიტეტს.

სსრ კავშირის პროფესიული კავშირების XIV ყრილობა, ნათქვამია მისალმებაში, პროფკავშირთა 86 მილიონი წევრისა და ჩვენი ქვეყნის ყველა მშრომელის სახელით მგზნებარე, გულითად სალამს უთვლის მშობლიურ კომუნისტურ პარტიასა და მის მებრძოლ შტაბს — ლენინურ ცენტრალურ კომიტეტს.

პროფკავშირთა XIV ყრილობა აღუთქვამს სკკპ ლენინურ ცენტრალურ კომიტეტს, რომ საბჭოთა პროფკავშირები პირნათლად შეასრულებენ პარტიის მიერ დაკისრებულ ამოცანებს.

თავმჯდომარემ ა. ნ. შელეპინმა პროფკავშირთა XIV ყრილობა დახურულად გამოაცხადა. მან ყრილობის მონაწილეებს უსურვა ახალი წარმატებანი მუშაობაში ჩვენი დიადი საბჭოთა სამშობლოს საკეთილდღეოდ.

კრემლის ყრილობათა სასახლეში საზეიმოდ ღღერს პარტიული ჰიმნი „ინტერნაციონალი“. (საკდესი).

საკავშირო პროფსაბჭოს პლენუმი

4 მარტს გაიმართა სსრ კავშირის პროფკავშირთა XIV ყრილობის მიერ არჩეული საბჭოთა კავშირის პროფესიული კავშირების ცენტრალური საბჭოს პლენუმი.

პლენუმმა აირჩია საკავშირო პროფსაბჭოს პრეზიდიუმი 27 კაცის შემადგენლობით.

საკავშირო პროფსაბჭოს თავმჯდომარედ პლენუმმა აირჩია ა. ნ. შელეპინი; საკავშირო პროფსაბჭოს მდივნებად არჩეული არიან ვ. თ. ბოგატიკოვი, ი. მ. ვლადიჩენკო, ტ. ნ. ნიკოლაევა, პ. ტ. პიმენოვი, ვ. ი. პრობოროვი, ნ. ნ. რომანოვი, ს. ა. შალევი.

პრეზიდიუმის წევრებად არჩეულნი არიან ვ. გ. არხიპოვი, ვ. ა. ბლუმი, ბ. ს. ეგოროვი, მ. ა. ზაიდოვი, შ. დ. კეკნაძე, ვ. კ. კლიმენკო, ი. ი. კოზლოვი, მ. ა. კოლბეცკაია, ვ. ი. კრეტინინოვი, ნ. ნ. მაკაროვი, გ. ა. მაკეევი, ნ. ა. ნედოსეკინა, ბ. ნ. პასტუხოვი, ლ. ი. პოგრებნოი, ბ. ა. პოპოვი, ვ. გ. სილუანოვი, ა. მ. სუბოტინი, ე. ტ. ჩერედნიჩენკო, ი. ფ. შკურატოვი.

გაიმართა აგრეთვე პროფკავშირთა XIV ყრილობის მიერ არჩეული ცენტრალური სარევიზიო კომისიის სხდომა. ცენტრალური სარევიზიო კომისიის თავმჯდომარედ არჩეულია ი. ა. ნოვიკოვი. (საკდესი).

პროლეტარეთო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

სპორტი

№ 46 (3530)

6 1968 წ. მარტი. ოთხშაბათი. ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и республиканского Совета профсоюзов

გამოცემის 24-ე წელი.

დღეს ნომერში:

გვესაუბრება ლენინგრადელი დიდოსტატი — მე-3 გვ.

კიდევ ერთი პროტესტი — მე-3 გვ.

მადრიდს, ევროპის IIII ზამთრის თამაშებში საასპარეზოდ — მე-4 გვ.

ალმასრულებელმა კომიტეტმა კოზიცია — მე-4 გვ.

ალმასრულებელმა კომიტეტმა დაამტკიცა

ამას წინათ დასავლეთ გერმანიის ქალაქ მაინის ფრანკფურტში გაიმართა მოყვარულ მძლეოსანთა საერთაშორისო ფედერაციის (იააფ) აღმასრულებელი კომიტეტის სხდომა, რომელმაც განიხილა ახალ წევრთა მიღების საკითხი, დაამტკიცა შარშან გაუმჯობესებული ზოგიერთი მსოფლიო რეკორდი და იმსჯელა დარბაზობში ნაჩვენები უმაღლესი მიღწევების ოფიციალური ცხრილის შემოღების თაობაზე.

აღმასკომის სხდომამ მსოფლიოს რეკორდებად დაამტკიცა ინგლისელი ქალის ვ. სმითის მიერ შარშან ივნისში მოპოვებული შედეგები 1.500 მეტრზე (4.17,3) და 1 მილზე (4.37,0) რბენაში, ლ. ვესტერმანის (გფრ) მაჩვენებელი ბადრის ტყორცნაში (61,26 მ). დიდი დაგვიანებით, მაგრამ მაინც კომიტეტმა მსოფლიოს რეკორდად აღიარა ავსტრალიელი ჯ. კილბორნის მიერ 80 მეტრზე თარჯრბენში 1964 წელს ტოკიოში ნაჩვენები შედეგი — 10,5 წამი (როგორც ცნობილია, შემდეგ ი. პრესმა ეს რეკორდი 10,3 წამამდე დაიყვანა).

სხდომამ ფედერაციის ახალ წევრებად მიიღო კუბაელ ნაურუსა და მალაგის (აფრიკა) მძლეოსანთა კავშირები. ახლა ფედერაციაში 140 ქვეყანაა გაერთიანებული.

აღმასრულებელმა კომიტეტმა უარყო წინადადება დახურული დარბაზების რეკორდების ოფიციალური ცხრილის შემოღების თაობაზე. სხდომამ დაინტერესებულ ორგანიზაციებს მისცა წინადადება, რომ ჯერჯერობით უმაღლესი მიღწევების არაოფიციალური აღრიცხვით დაკმაყოფილდნენ.

ორი საკონტროლო...

მარტის მეორე ნახევარში იწყება ხელბურთელ ვაჟთა მორიგი საკავშირო ჩემპიონატი. თბილისის „ბურევესტნიკი“ უკვე შეუდგა ამ პირველობისთვის მზადებას. გუშინ და გუშინწინ თბილისის სპორტის სასახლეში ქართველმა ხელბურთელებმა ორი საკონტროლო მატჩი გამართეს ბაქოს არმიელთა გუნდთან. პირველი შეხვედრა მოიგეს მასპინძლებმა — 28:14 (11:9), მეორე — სტუმრებმა — 21:18 (7:12).

სსრ კავშირის ჩემპიონატი კალათბურთში

ტრადიცია გრძელდება

თბილისი. სპორტის სასახლე. 4 მარტი.

„დინამო“ (თბილისი) — „კალევი“ (ტარტუ) 67:60 (28:31).

„დინამო“: სხიერელი (17), ალთაბაევი (20), უგრეხელიძე (16), ლეონავა (4), კაზანჭიანი (4), ნარიმანიძე (2), ქარაბაკი (4), ქორქია, მამალაძე, მალალაშვილი.

„კალევი“: ლილი (21), ლეპმეტსი (15), პარბო (4), იანსი (6), მეტსარი (2), მეტიკი (2), ლენსნოხი (4), ილვესი (2), კოკი (4).

მსაჯები: ა. ზინჩენკოვი და ფ. კერშონი (ორივე — მოსკოვი).

ესტონეთის უძლიერეს გუნდს, მოსკოვის არმიელთა მსგავსად, სამი წევრი სსრ კავშირის ნაკრებში ჰყავს მიწვეული. მიუხედავად ამისა, „კალევი“ საკავშირო ჩემპიონატში არც ისე წარუმატებლად გამოდის. ამას თავისი მიზეზები აქვს, მთავარი კი მათ შორის ის არის, რომ ესტონელებს „კალათბურთის სიბრძნე“ აკვიდან მოჰყვებათ და ძვალსა და რბილში აქვთ გამჯდარი.

„კალევი“ თბილისს უდავოდ შეუსტებული შემადგენლობით ეწვია, მაგრამ ამ გარემოებას გუნდის საბრძოლო სულისკვეთებაზე ოდნავადაც არ უმოქმედია. პირიქით, ესტონელები ახალგაზრდული შემადგენლობითაც მუდამ მძაფრად და უშეღავათოდ იბრძვიან და ხშირად წარმატებასაც აღწევენ. თბილისის „დინამოსთვის“ ეს გუნდი მუდამ უხერხულ მეტოქედ ითვლებოდა.

მასპინძლებისთვის ეს უსიამოვნო ტრადიცია დღესაც ძალაშია. ყოველ შემთხვევაში, გუშინწინდელი მატჩის მიხედვით „კალევს“ წარმატების იმედი შანსი ჰქონდა, როგორიც „დინამოს“. შეხვედრის პირველ ნახევარში უპირატესობა ცვალებადი გახლდათ, ამ სიტყვის ზუსტი და ერთადერთი მნიშვნელობით. ანგარიში გახსნეს ესტონელებმა, მაგრამ მალე დინამოელები დაწინაურდნენ. მასპინძლების უპირატესობა მხოლოდ 4-5 წუთს იკრძნობოდა. შემდეგ თამაში გათანაბრდა, ტაიმის ბოლოს კი „კალევი“, რომ იტყვიან, თვალსა და ხელს შუა გაძვრა წინ.

მეორე ნახევარში კიდევ დიდხანს იყო გაურკვეველი, თუ ვის დარჩებოდა გამარჯვება. ესტონელთა მწვრთნელმა რამდენჯერმე შეცვალა შემადგენლობა იმ ანგარიშით, რომ მეტოქის ბანაკში არეულობა შეეტანა. „კალევი“ ასეთ ხერხს ხშირად მიმართავს, რადგან მას ადვილად შეუძლია თამაშის ერთი სტილიდან მეორეზე გადასვლა. ყველაზე დიდი ეფექტი სტუმრებს პრესინგმა მოუტანა, რადგან სწორედ მკაცრი პერსონალური მეურვეობის წყალობით შეინარჩუნეს მათ ერთ ხანს ანგარიში. მაგრამ დინამოელებმა პრესინგსაც მოუნახეს კონტრამაში და ინიციატივაც მათ მხარეს გადავიდა.

საერთოდ, გუშინწინდელი მატჩით, ვფიქრობთ, არც ერთი გუნდი არაა კმაყოფილი, რადგან მეტოქეები ხშირად ცდებოდნენ. ეს, პირველ ყოვლისა, ითქმის სროლის სიზუსტესა და გადაცემების ეფექტურობაზე. როგორც ჩანს, ნერვიულმა ფაქტორმა სხვა დანარჩენს გადაეჭარბა და თამაშიც სწორედ ამიტომ იყო სანახაობრივი თვალსაზრისით მოსაწყენი. ნ. გუგუშვილი.

ჭუჭრუ...

თბილისის სპორტის სასახლეში გაიმართა კალათბურთელ ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატის მორიგი კალენდარული მატჩი ადგილობრივ „დინამოსა“ და ტარტუს „კალევს“ შორის. გაიმარჯვეს მასპინძლებმა, — 71:69 (33:36).

გათამაშების ცხრილი

	თ.	მ.	წ.	ბ.	ქ.
„სპარტაკი“ (ლენინგრადი)	26	19	7	1839—1765	19
„დინამო“ (თბილისი)	26	18	8	1925—1783	18
ასკ (კიევი)	26	18	8	1844—1698	18
ცსკა	26	15	11	1633—1588	15
„სტროიტელი“ (კიევი)	24	14	10	1600—1589	14
ვეფ (რიგა)	26	14	12	1869—1819	14
„შალგირისი“ (კაუნასი)	26	14	12	1874—1825	14
„კალევი“ (ტარტუ)	26	13	13	1714—1679	13
ასკ (რიგა)	26	11	15	1871—1888	11
„ბურევესტნიკი“ (თბილისი)	24	11	13	1558—1526	11
„ბურევესტნიკი“ (ბაქო)	28	4	24	2031—2382	4
„ურალმაში“ (სვერდლოვსკი)	24	3	21	1619—1878	3

შეხვედრები მარტში

6. ცსკა — „ბურევესტნიკი“ (ბაქო), „სპარტაკი“ (ლენინგრადი) — ვეფ (რიგა). 6-7. „ურალმაში“ (სვერდლოვსკი) — „უალგირისი“ (კაუნასი). 7-8. „სტროიტელი“ (კიევი) — ასკ (კიევი), „ბურევესტნიკი“ (თბილისი) — „კალევი“ (ტარტუ). 8-9. ცსკა — ასკ (რიგა): I და II წრის გამოტოვებული მატჩები. 11-12. „ბურევესტნიკი“ (ბაქო) — „კალევი“ (ტარტუ), ასკ (კიევი) — „დინამო“ (თბილისი). 12-13. ასკ (რიგა) — „ურალმაში“ (სვერდლოვსკი). 13-14. „შალგირისი“ (კაუნასი) — „ბურევესტნიკი“ (თბილისი). 14-15. „სტროიტელი“ (კიევი) — „დინამო“ (თბილისი). 15-16. ვეფ (რიგა) — „ურალმაში“ (სვერდლოვსკი). 16-17. „კალევი“ (ტარტუ) — ასკ (რიგა). 18-19. ასკ (კიევი) — „ბურევესტნიკი“ (თბილისი). 19-20. „შალგირისი“ (კაუნასი) — „დინამო“ (თბილისი), „კალევი“ (ტარტუ) — „ურალმაში“ (სვერდლოვსკი). 20-21. ცსკა — „სპარტაკი“ (ლენინგრადი). 21-22. „სტროიტელი“ (კიევი) — „ბურევესტნიკი“ (თბილისი). 22-23. ვეფ (რიგა) — ასკ (კიევი). 24-25. „სპარტაკი“ (ლენინგრადი) — „ურალმაში“ (სვერდლოვსკი), „დინამო“ (თბილისი) — „ბურევესტნიკი“ (ბაქო). 25-26. ცსკა — „კალევი“ (ტარტუ), ასკ (რიგა) — ასკ (კიევი). 26-27. „უალგირისი“ (კაუნასი) — „სტროიტელი“ (კიევი). 27-28. „ბურევესტნიკი“ (თბილისი)—„ბურევესტნიკი“ (ბაქო). 29-30. „დინამო“ (თბილისი) — „სპარტაკი“ (ლენინგრადი), „უალგირისი“ (კაუნასი) — ასკ (კიევი), ცსკა — „ურალმაში“ (სვერდლოვსკი). 30-31. ასკ (რიგა) — „სტროიტელი“ (კიევი).

ეს იყო მეტად დაძაბული მატჩი, რომელშიც მეტოქეები ყოველი ბურთისთვის, ყოველი გადაცემისთვის თავგამოდებით იბრძოდნენ. სურათზე თქვენ ხედავთ დინამოელ კაზანჭიანს ესტონელთა გარემოცვაში. თბილისელი ზუსტად გადასცემს ბურთს პარტნიორს.

ფოტო ვ. ჩრთველაძისა.

საქართველოს რეკორდები

მძლეოსნობაში

1968 წლის 1 მარტისათვის.



ნ. დუმბაძე

ვ. სანეევი

ტ. ბახტაძე



რ. შავლაყაძე



ნ. დვალიშვილი

სახეობა	შედეგი	რეკორდსმენი	დამყარების ადგილი	თარიღი
ქ ა ლ ე ბ ი				
60 მ	7,3	ნ. დვალიშვილი (თბილისი, „დინ.“)	თბილისი	4. 11. 1951
100 მ	11,7	ნ. დვალიშვილი (თბილისი, „დინ.“)	ბუქარესტი	25. 9. 1951
200 მ	24,1	ნ. დვალიშვილი (თბილისი, „დინ.“)	ჰელსინკი	25.7. 1952
400 მ	57,3	ბ. ზრაჟევსკაია (თბილისი, ასკ)	მოსკოვი	16. 8. 1959
800 მ	2.13,2	რ. შჩიკოვსკაია (თბილისი, „ლოკ“.)	ორიოლი	17. 8. 1967
80 მ თარჯრბენი	10,6	ლ. იევლევა (თბილისი, „სპარტ“.)	ბაქო	20. 5. 1967
100 მ თარჯრბენი	14,2	თ. როუმანოვა (თბილისი, ასკ)	ბაქო	20. 5. 1967
ესტაფეტა 4×100 მ	47,1	საქართველოს ნაკრები (ლ. იევლევა, თ. როუმანოვა, გ. კონონენკო, ვ. ჭუთათელაძე)	მოსკოვი	28. 7. 1963
ესტაფეტა 4×200 მ	1.43,8	საქართველოს ნაკრები (ლ. იევლევა, ტ. პშენიჩნაია, ფ. სტრახერი, ა. ოვიციანი)	თბილისი	20. 7. 1958
ესტაფეტა 400+300+200+100 მ	2.23 5	პროფსაბჭოს ნაკრები (მ. ოჰანესიანცი, ნ. გაბეხაძე, ვ. თეთრაძე, ლ. თოფჩიშვილი)	მოსკოვი	8. 8. 1965
ესტაფეტა 3×800 მ	7.35,6	თბილისის ნაკრები (ს. არმუშევა, ნ. ბახტაძე, რ. შჩიკოვსკაია)	კისლოვოდსკი	20. 11. 1966
სიგრძეზე ხტომა	625	ნ. დვალიშვილი (თბილისი, „დინ“.)	თბილისი	16. 5. 1954
	625	ლ. იევლევა (თბილისი, „ბურ“.)	სარკოვი	24. 7. 1960
სიმაღლეზე ხტომა	165	ს. როზანოვა (თბილისი, „ბურ“.)	თბილისი	8. 12. 1957
	165	ლ. პატარიძე (თბილისი, „ბურ“.)	თბილისი	10. 7. 1961
ბადრო	57,04	ნ. დუმბაძე (თბილისი, „დინ“.)	თბილისი	18. 10. 1952
შუბი	49,97	ც. ლიპარტელიანი (თბილისი, „კოლმ“.)	ოჩამჩირე	15. 10. 1967
ბირთვი	14,60	მ. თათარაშვილი (თბილისი, „კოლმ“.)	თბილისი	15. 10. 1967
ხუთჭიდი (10,9; 12,35; 150; 595, 25,6)	4.630	ლ. იევლევა (თბილისი, „სპარტ“.)	თბილისი	29-30. 4. 1967
ვ ა ჟ ე ბ ი				
100 მ	10,3	ლ. სანაძე (თბილისი, „ბურ“.)	თბილისი	20. 8. 1952
	10,3	ე. ლომთაძე (თბილისი, „სპარტ“.)	თბილისი	20. 9. 1961
	10,3	ა. ბედუკაძე (თბილისი, „ბურ“.)	თბილისი	7. 9. 1962
200 მ	21,3	ა. ანდრეევი (თბილისი, „ლოკ“.)	თბილისი	16. 11. 1966
400 მ	47,5	ტ. ბახტაძე (თბილისი, „ლოკ“.)	სარკოვი	26. 10. 1967
800 მ	1.50,1	ე. ბონჩაროვი (თბილისი, ასკ)	მოსკოვი	12. 8. 1963
1.000 მ	2.31,8	ბ. კუდრიავცევი (თბილისი, „დინ“.)	თბილისი	8. 9. 1955
1.500 მ	3.49,7	ა. კორნეიჩუკი (თბილისი, „ლოკ“.)	რიგა	4. 6. 1967
2.000 მ	5.36,3	ნ. თვაური (თბილისი, „სპარტ“.)	თბილისი	16. 7. 1959
3.000 მ	8.35,0	ვ. კომაროვი (თბილისი, „კოლმ“.)	თბილისი	10. 8. 1962
5.000 მ	14.30,8	ნ. სერგეევი (თბილისი, ასკ)	რიგა	6. 8. 1960
10.000 მ	30.15,0	ნ. სერგეევი (თბილისი, ასკ)	კაუნასი	14. 8. 1960
20.000 მ	1:04.08,0	ნ. ევსეევი (თბილისი, „კოლმ“.)	ლენინაკანი	18. 4. 1963
25.000 მ	1:23.20,0	ნ. ევსეევი (თბილისი, „კოლმ“.)	თბილისი	16. 9. 1962
30.000 მ	1:39.42,0	ნ. ევსეევი (თბილისი, „კოლმ“.)	თბილისი	16. 9. 1962
მარათონული რბენა	2:24.32,0	ნ. ევსეევი (თბილისი, „კოლმ“.)	ბათუმი	25. 9. 1963
1-საათიანი რბენა	19 კმ, 265 მ	ნ. სერგეევი (თბილისი, ასკ)	თბილისი	16. 9. 1958
110 მ თარჯრბენი	14,2	მ. ტულუში (ბათუმი, „დინ“.)	ბათუმი	3. 12. 1960
200 მ თარჯრბენი	23,1	ი. კოზელსკი (ქუთაისი, „დინ“.)	ლენინაკანი	1. 10. 1967
400 მ თარჯრბენი	51,0	ი. კოზელსკი (ქუთაისი, „დინ.“)	ბაქო	21. 5. 1967
3000 მ წინაღობებით	8.48,4	ვ. კომაროვი (თბილისი, „კოლმ.“)	ლიმბაკი	27. 6. 1962
ესტაფეტა 4×100 მ	40,8	საქართველოს ნაკრები (რ. მამალაძე, ი. კოზელსკი, ტ. ბახტაძე, ა. ანტონოვი)	ბაქო	11. 10. 1965
ესტაფეტა 4×200 მ	1.26,7	თბილისის ნაკრები (ა. ანტონოვი, ა. ანდრეევი, ვ. სევასტიანოვი, ტ. ბახტაძე)	კისლოვოდსკი	20. 10. 1967
ესტაფეტა 4×400 მ	3.10,8	საქართველოს ნაკრები (ზ. სარჭისიანი, ა. ანდრეევი, ი. კოზელსკი, ტ. ბახტაძე)	მოსკოვი	28. 7. 1967
ესტაფეტა 800+400+200+100 მ	3.17,0	პროფსაბჭოს ნაკრები (ი. ლოგუნოვი, ჯ. ხხულუხია, ტ. ბახტაძე, ზ. სარჭისიანი)	მოსკოვი	10. 8. 1965
ესტაფეტა 4×800 მ	7.36,2	თბილისის ნაკრები (ვ. შულგინი, ა. კორნეიჩუკი, ი. ლოგუნოვი, ი. ზეინან-ოღლი)	კისლოვოდსკი	20. 11. 1966
ესტაფეტა 4×1500 მ	16.35,2	თბილისის ნაკრები (ა. ურუვსკი, ნ. დავიდენკო, ი. ცანავა, ი. სოვეტკინი)	კისლოვოდსკი	20. 11. 1966
სპორტული სიარული (სტადიონზე) 10 კმ	43.18,6	ა. შჩერბინა (თბილისი, „სპარტ“.)	ვილნიუსი	25. 6. 1966
20 კმ	1:29.26,0	ა. შჩერბინა (თბილისი, „დინ“.)	მოსკოვი	17. 7. 1960
30 კმ (გზატკეცილზე)	2:17.21,4	ა. შჩერბინა (თბილისი, „სპარტ“.)	სვერდლოვსკი	12. 6. 1966
50 კმ (გზატკეცილზე)	3:57.28,0	ა. შჩერბინა (თბილისი, „სპარტ“.)	ალმა-ათა	17. 10. 1965
1-საათიანი	12 კმ, 897 მ	ა. შჩერბინა (თბილისი, „დინ“.)	თბილისი	15. 10. 1961
2-საათიანი	23 კმ, 305 მ	ა. შჩერბინა (თბილისი, „დინ“.)	თბილისი	6. 11. 1962
სიგრძეზე ხტომა	790	ვ. სანეევი (სოხუმი, „დინ“.)	ბაქო	21. 5. 1967
სიმაღლეზე ხტომა	217	რ. შავლაყაძე (თბილისი, „დინ“.)	კიევი	27. 8. 1964
სამხტომი	16,67	ვ. სანეევი (სოხუმი, „დინ“.)	კიევი	17. 9. 1967
ჭოკით ხტომა	470	ი. დიაჩკოვი (თბილისი, „დინ“.)	ლენინაკანი	6. 10. 1966
ბირთვი	17,77	მ. ოყროშვიძე (თბილისი, „ბურ“.)	ლესელიძე	24. 4. 1966
ბადრო	58,36	გ. გუდაშვილი (თბილისი, „დინ“.)	კისლოვოდსკი	5. 7. 1967
შუბი	80,99	კ. გორძაძაშვილი (თბილისი, „დინ“.)	დნეპროპეტროვსკი	12. 8. 1966
ურო	57,90	ო. ოდიშვილი (თბილისი, „ბურ“.)	თბილისი	9. 5. 1967
ათჭიდი (11,1; 760; 15,22; 190; 50,4; 14,8; 43,38; 470; 52,62; 4.46,6)	7.836	ი. დიაჩკოვი (თბილისი, „დინ“.)	ლენინაკანი	5-6. 10. 1966



გ. გუდაშვილი ი. დიაჩკოვი

მ. ოყროშვიძე

კ. გორძაძაშვილი

ლ. იევლევა

ეროვნული ბიბლიოთეკა

სსრ კავშირის პირველობა წყალბურთში

მარცხი მოსაგებ თამაშში

თბილისი. ზამთრის რესპუბლიკური საცურაო აუზი. 4 მარტი.

„დინამო“ (თბილისი) — „ბალტიკა“ (ლენინგრადი) 2:3 (0:0, 1:1, 0:2, 1:0).

გოლების ავტორები: „დინამო“: ისელიძე (1), მიმინოშვილი (1); „ბალტიკა“: ისიანოვი (1), სტრიფეევსკი (1), გელერმანი (1).

თბილისელებს რომ წლევანდელ ჩემპიონატში გაუჭირდებოდათ, ეს თავიდანვე იყო ცნობილი. მიზეზი ის გახლავთ, რომ გუნდის შემადგენლობაში ბევრი ცვლილება მოხდა, წავიდნენ ვეტერანები, მოვიდა ახალგაზრდობა. ფაქტიურად, წლევანდელი ტურნირი მათთვის დავაკკაცების პერიოდი იქნება. თუმცა, როგორც პირველმა მატჩმა გვიჩვენა, ოსტატური თამაშით არც ლენინგრადელები ბრწყინავდნენ. კაცმა რომ თქვას, მასპინძლებს მეტოქეთა კარის აღების მეტი შესაძლებლობაც ჰქონდათ, მაგრამ მოხდა პირუკუ: თბილისელებმა მოსაგები შეხვედრა წააგეს.



სურათზე: ლენინგრადელთა მეკარე იგერიებს ძნელ ბურთს.

ფოტო ა. კოტორაშვილისა.

პირველი პერიოდის დასაწყისშივე მიმინოშვილი ლენინგრადელთა მეკარის პირისპირ აღმოჩნდა, მაგრამ გოლი ვერ გაიტანა. მეორე პერიოდში ორივე გუნდს თითო 4-მეტრიანი საჯარიმოს უფლება მიეცა და ორივე გოლით დაგვირგვინდა. შემდეგ კიდევ ერთი ასეთი საჯარიმო დაინიშნა, მაგრამ ისელიძემ ბურთი ძელს ზოარტყა. III პერიოდში სტუმრები დაწინაურდნენ: ჯერ სტრიფეევსკიმ იოლად გაიტანა გოლი გულედანის კარში, შემდეგ გელერმანმა კარგად გამოიყენა 4-მეტრიანი საჯარიმო და ანგარიში გაზარდა — 3:1. ამ დროს ჯარიმა ორმხრივი იყო, მაგრამ ამჯერად ორიგვამ ააცდინა მიჯანს. მეოთხე, დასკვნით პერიოდში მეგედ—მიმინოშვილის ძალიან ლამაზი კომბინაციით ერთი გოლის გაქვითვა მოხერხდა — 2:3. მას შემდეგ ანგარიში აღარ შეცვლილა. ისე კი მეოთხე პერიოდში ორჯერ გვქონდა ამის რეალური შესაძლებლობა: პერიოდის დასაწყისში მიმინოშვილმა ვერ გამოიყენა 4-მეტრიანი საჯარიმო, ხოლო მატჩის ბოლოს — ისელიძემ.

როგორც ხედავთ, ჩვენებმა ჩემპიონატი მარცხით დაიწყეს. სხვათა შორის, 1956 წლიდან „დინამოს“ თბილისში დღემდე არც ერთი მატჩი არ წაუგია. რა თქმა უნდა, ზემოსსენებული მიზეზის გამო ჩვენ ამჯერად განსაკუთრებული პრეტენზიები არა გვაქვს, მაგრამ განა შეიძლება ერთ მატჩში ოთხი 4-მეტრიანი საჯარიმო ვერ გამოიყენო?! კიდევ ერთი შენიშვნა: განვლილ მატჩში დინამოელებმა თამაშის მთელი სიმძიმე რატომღაც მხოლოდ მიმინოშვილზე გადაიტანეს. იგი ცენტრში მოთამაშე კალათბურთელს უფრო ჰგავდა. წყალბურთში კი ამ ტაქტიკას ორი ათეული წლის წინ იყენებდნენ. ეს მხოლოდ ერთი დეტალია და შეიძლება მასაც ჰქონდეს რაიმე გამართლება. ჩვენ არ გვინდა დავკარგოთ იმედი, რომ დინამოელები თანდათან გამოაკეთებენ თამაშს.

* * *

„დინამო“ (მოსკოვი) — კასპიის ფლოტილია (ბაკო) 4:4 (0:1, 0:0, 2:1, 2:2).

„დინამო“: ბარანოვი (3), გრიშინი (1); კასპიის ფლოტილია: ბორტკევიჩი (3), სავინი (1).

მოსკოვის დინამოელთა კოლექტივი ახლა ისე ძლიერია, როგორც არასდროს, კასპიის ფლოტილიის გუნდი კი ძირითადად ახალგაზრდებითაა დაკომპლექტებული. ამ კოლექტივში თამაშობს ერთადერთი ვეტერანი — ბორტკევიჩი, რომელიც დინამოელებთან მატჩში თანაგუნდელების ღირსეულ წინამძღოლად მოგვევლინა. ჩვენი აზრით, დინამოელებმა უსწორო ტაქტიკა აირჩიეს. იმის მაგიერ, რომ ეგრეთ წოდებულ გამსვლელებზე აეგოთ თამაში მათ და შეტევები ამ ტაქტიკური ხერხით განეხორციელებინათ, თავად მოისპეს მანევრირების საშუალება და ასპარეზი ბაკოელებს დაუთმეს. სწორედ ეს იყო მიზეზი, რომ მოსკოველებმა სათამაშო სიტუაციიდან მხოლოდ ერთი ბურთის გატანა შეძლეს. ბაკოელებმა უფრო იმარჯვეს და 2 ბურთი გაიტანეს. ყველა დანარჩენი გოლი 4-მეტრიანი საჯარიმოდან გავიდა.

მოსკოვის უნივერსიტეტი — „სპარტაკი“ (ვოლგოგრადი) 5:2 (0:0, 2:0, 0:0, 3:2).

მოსკოვის უნივერსიტეტი: დრევალი (1), ოსიპოვი (1), პოპოვი (1), კაბანოვი (1), სკერიხი (1); „სპარტაკი“: იაკოვლევი (1), ლიჩაგოვი (1).

ამ მატჩში სპარტაკელთა დაცვა ვერ იდგა სათანადო დონეზე, შეცდომები ხშირი იყო და სტუდენტები ყოველ შეცდომას გოლით უპასუხებდნენ. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ მოსკოველები ვოლგოგრადელთა კართან ზედმეტად ათამაშებდნენ ბურთს და ნაღდი საგოლე მომენტის დროსაც კი უფრო ხელსაყრელი ვითარების შექმნას ცდილობდნენ. ეს რომ არა, სტუდენტები შეხვედრას კიდევ უფრო დიდი ანგარიშით მოიგებდნენ.

სამხედრო-საზღვაო ფლოტის ცენტრალური საწყლოსნო სპორტკლუბი (მოსკოვი) — „დინამო“ (კიევი) 4:2 (0:0, 0:0, 2:1, 2:1).

საწყლოსნო სპორტკლუბი: შიდლოვსკი (3), აკიმოვი (1); „დინამო“: სნასტანი (2).

კიეველებმა თავდაპირველად თანაბარი ბრძოლა გაუმართეს სსრ კავშირის ჩემპიონს. პირველ ორ პერიოდში კარის აღება ვერც ერთმა გუნდმა ვერ მოახერხა. მაგრამ მატჩის მეორე ნახევარში მოსკოველთა ტექნიკურმა უპირატესობამ იჩინა თავი. თუმცა ეს უპირატესობა არც ისე ხელშესახები იყო. ორივე მხარე უამრავ შეცდომას უშვებდა მოწინააღმდეგის კართან. მოსკოველებმა მეტოქეთა ეს შეცდომები უკეთ გამოიყენეს და გამარჯვებაც მოიპოვეს.

„დინამო“ (ლვოვი) — „ტორპედო“ (მოსკოვი) 1:6 (0:1, 0:2, 1:2, 0:1).

„დინამო“: ბარკალოვი (1); „ტორპედო“: პუშკარიოვი (2), ლობანოვი (2), კრიუკოვი (1), ფედოტოვი (1).

ამ მატჩში ტორპედოელთა ტექნიკურ-ტაქტიკური უპირატესობა აშკარა იყო. მათ ყველა რგოლში დაჯაბნეს ლვოვის დინამოელები.

ჯ. ენუქიძე.

ჯეჯილნ...

ზამთრის რესპუბლიკურ საცურაო აუზში გაიმართა სსრ კავშირის წყალბურთელთა ჩემპიონატის II ტურის მატჩები. შეხვედრათა შედეგები ასეთია: „დინამო“ (კიევი) — „დინამო“ (ლვოვი) 3:0, კასპიის ფლოტილია (ბაკო) — „ტორპედო“ (მოსკოვი) 2:2, „სპარტაკი“ (ვოლგოგრადი) — სამხედრო-საზღვაო ფლოტის ცენტრალური საწყლოსნო სპორტკლუბი (მოსკოვი) 0:4, „ბალტიკა“ (ლენინგრადი) — მოსკოვის უნივერსიტეტი 4:3, „დინამო“ (მოსკოვი) — „დინამო“ (თბილისი) 4:4.

კორჩნოის შეხვედება რეშევსკი

გადაწყვიტა... ტუნისმა

სამი დიდოსტატის მატჩ-ტურნირი, რომელიც 18 თებერვალს დაიწყო ლოს-ანჯელოსში, დამთავრდა, დამთავრდა ისე, რომ დიდოსტატებმა ქულათა თანაბარი რაოდენობა მოაგროვეს. მაგრამ გამარჯვებული მაინც გამოვლინდა. ესაა მოჭადრაკე, რომელსაც მატჩ-ტურნირში ერთი პარტიაც არ მოუგია.

მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა მატჩების ვაკანტური საგზურის ბედი ს. რეშევსკის სასარგებლოდ გადაწყვიტა... ტუნისის საზონათშორისო ტურნირის კოეფიციენტთა ცხრილმა. საქმე ისაა, რომ ტუნისში ს. რეშევსკიმ, ვ. ჰორტმა და ლ. შტეინმა VI-VIII ადგილები გაიყვეს. კოეფიციენტთა ცხრილით რეშევსკის 129,75 ქულა აღმოჩნდა, ჰორტს — 120,25 ქულა და შტეინს — 117. საინტერესოა, რომ რეშევსკის ყველაზე მეტი (14) ქულა ე. გელერთან გამარჯვებამ მისცა, ხოლო შტეინს ჰორტთან წაგებამ გაუფუჭა საქმე (10 ქულა დაკარგა). ტურნირის დამთავრების შემდეგ ფიდე-მ საბრთლიანად მიიჩნია, რომ კოეფიციენტთა ცხრილის მონაცემები მხოლოდ იმ შემთხვევაში მიეღო მხედველობაში, თუ მატჩ-ტურნირში I-II, ან I-III ადგილები გაიყოფოდა. როგორც იცით, ეს ასეც მოხდა.

	გვარი, ქვეყანა	1				2				3				ქულა	ადგილი
1	ვ. ჰორტი (ჩეხოსლოვაკია)					½	0	½	1	½	½	½	½	4	II
2	ლ. შტეინი (სსრ კავშირი)	½	1	½	0					½	½	½	½	4	III
3	ს. რეშევსკი (აშშ)	½	½	½	½	½	½	½	½					4	I

პრეტენდენტი პრეტენდენტებზე

პრეტენდენტთა მეოთხედფინალურ მატჩში ვ. კორჩნოის ს. რეშევსკი შეხვდება.

— ვის ისურვებდით თქვენს პირველ მეტოქედ? — ვკითხე ბევერვეიკიდან დაბრუნებულ კორჩნოის.

— ჰორტს, — უყოყმანოდ მიპასუხა კორჩნოიმ. — იგი ახალგაზრდა და ძალიან პერსპექტიული მოჭადრაკეა, მაგრამ ჯერჯერობით ყველაფერი როდი ესმის ჭადრაკისა. ამიტომ მასთან თამაში უფრო იოლია, ვიდრე რეშევსკისთან და შტეინთან. მათი დამარცხება მხოლოდ ხანგრძლივ და ძნელ ბრძოლაში შეიძლება.

— როგორია თქვენი პირადი შეხვედრების ანგარიში?

— ჰორტთან — დადებითი. მას ორი პარტია მოვუგე, სხვები კი ყაიმით დავამთავრე. შტეინთან და რეშევსკისთან თანაბარი ანგარიში მაქვს, მაგრამ მცირე „პოზიციური“ უპირატესობა ჩემი მეტოქეების მხარესაა. დიახ, ნუ გიკვირთ. შტეინთან ორი პარტია მოვიგე, ორი წავაგე, მაგრამ მან ბოლო წლებში მომიგო. რეშევსკის ორჯერ ვეთამაშე. ორივე შეხვედრა ყაიმით დამთავრდა, მაგრამ თეორი ფიგურებით ორივეჯერ მე ვთამაშობდი — მორალური უპირატესობა ისევ ამერიკელის მხარესაა.

— ჰორტთან თამაშიც ამიტომ გსურთ?

— რა თქმა უნდა, — იცინის კორჩნოი. — ამ შემთხვევაში რთული გზების ძებნა საჭირო არ იქნება.

და აი, კორჩნოის „ძნელ“ მეტოქესთან უწევს თამაში. ადვილი მისახვედრია, რა მძიმე და შეუპოვარი ბრძოლაა მოსალოდნელი კორჩნოი — რეშევსკის მატჩში. სად და როდის გაიმართება ეს შეხვედრა, ამ დღეებში გადაწყდება.

წინაა პრეტენდენტთა მატჩები.

გელერ — სპასკის შეხვედრა, რომელიც 2 აპრილს იწყება სოხუმში, საერთო ყურადღებას იპყრობს. კორჩნოის ვთხოვ გამიზიაროს თავისი აზრი მეტოქეთა შანსებზე. ჩვეულებრივ დიდოსტატები პროგნოზებზე ძუნწობენ. მაგრამ, როგორც ჩანს, კორჩნოის სწამს თავისი „მისნობის“ ძალა და რიხით მიპასუხებს:

— გელერი გაიმარჯვებს.

— რატომ?

— სპასკიმ, ჩემი აზრით, დაკარგა დარტყმის სიზუსტე. მას ძალიან ძვირად დაუჯდა მსოფლიო პირველობის წინა ციკლში ბრძოლა. დიდოსტატმა იმდენი საჭადრაკო იდეა, იმდენი ნერვულობა შეალია გამარჯვებას, რომ პეტროსიანთან მთელი ძალით ვეღარ ითამაშა. სპასკის სპორტულმა და შემოქმედებითმა მიღწევებმა შესამჩნევად იკლო. პეტროსიანთან მატჩის შემდეგ მას არც ერთხელ არ უჩვენებია ადრინდელი შედეგები.

— ხომ არ დაგავიწყდათ ტურნირი სანტა-მონიკაში, სადაც სპასკიმ ჩამოიტოვა პეტროსიანი, ლარსენი, ფიშერი?

— გადახედეთ მის პარტიებს და დარწმუნდებით, რომ სპასკი სანტა-მონიკაშიც ადრინდელზე უარესად თამაშობდა. თვით დიდოსტატიც აღფრთოვანებული როდია თავისი თამაშით. ნათელია, რომ იგი შემოქმედებით კრიზისს განიცდის. გელერი კი თითქმის ორი ათეული წელია ინარჩუნებს სპორტულ ფორმას. მას არ მოუპოვებია ისეთი თავბრუდამხვევი გამარჯვებები, როგორიც სპასკის, მაგრამ თითქმის მუდამ მეორე ან მესამეა ნებისმიერი რანგის ტურნირში.

აი, რა აზრისაა კორჩნოი ტალ — გლიგორიჩის მატჩზე, რომელიც ბელგრადში დაიწყება 21 აპრილს:

— ბევერვეიკის ტურნირის მონაწილეთა და ორგანიზატორების აზრით, — ამბობს კორჩნოი, — ტალი კარგ ფორმაში არაა. რიგელი დიდოსტატი დაღლილი ჩანს და შეიძლება ვერც ჯანმრთელად არის. გლიგორიჩის სტილი კი გაუმჯობესდა. იუგოსლავიელმა უფრო პრაქტიკულად თამაში დაიწყო, ციტატოტის სენისგან განიკურნა და სადებიუტო რეპერტუარი განაახლა. იგი ახლაც უწინდელებურად შეუპოვარია, ხოლო სატურნირო და სამატჩო ბრძოლის გამოცდილება საკმაო აქვს.

— ხომ არ ნიშნავს ეს, რომ გლიგორიჩს მეტი შანსი აქვს გამარჯვებისა?

— ობიექტურად ასეა. მაგრამ ვერ წარმომიდგენია, როგორ უნდა მოუგოს გლიგორიჩმა მატჩი ტალს, რომელთანაც მუდამ უჭირდა ბრძოლა.

საბჭოთა მოჭადრაკეები პრეტენდენტთა ციკლის მხოლოდ ერთ მეოთხედფინალურ მატჩში არ მიიღებენ მონაწილეობას. ესაა ბ. ლარსენისა და ლ. პორტიშის შეხვედრა. ამ ბოლო ხანს დასავლეთის პრესამ დაუშარცხებლად შერაცხა დანიელი დიდოსტატი. დამსახურებულია ეს შეფასება? — ვეკითხები კორჩნოის.

— ლარსენის ბრწყინვალე გამარჯვებები შარშანდელ შეჯიბრებებში მის უმაღლეს ოსტატობას ადასტურებს. მე ძალიან მომწონს დანიელის თამაში. იგი მრავალწახნაგოვანია, იდეებით დატვირთული, ტემპერამენტიანი, ენერგიული. ერთი სიტყვით, ლარსენი ნამდვილი მებრძოლია.

— ბევერვეიკში რატომ არ ითამაშა?

— დანიელმა მოჭადრაკემ ტურნირში მონაწილეობისთვის ექსტრა-ჰონორარი — სამი ათასი გულდენი ითხოვა, შეჯიბრების ორგანიზატორები კი მხოლოდ ორი ათასს იძლეოდნენ.

— პორტიშზე რას იტყვით?

— პორტიშს ზოგჯერ „უნგრელ ბოტვინიკს“ უწოდებენ. ამ შედარებაში არის ეჭვმარიტების არც თუ მცირე ნაწილი. პირველ ყოვლისა, სტრატეგია. იგი შესანიშნავად თამაშობს დებიუტს, განსაკუთრებით კი თეორიებთ. მძიმე პოზიციაში უნგრელი დიდოსტატი ყრუ დაცვას როდი მიმართავს, იგი კონტრთამაშის ყველა შანსს იყენებს, თუნდაც ეს პოზიციის მკვეთრ გართულებასთან იყოს დაკავშირებული. პორტიშის თამაშში პეტროსიანის სტილის ზოგიერთ ნიშანსაც ვხედავ. მან იცის მცირე უპირატესობის გამარჯვებამდე მიყვანა. ხშირად დავფიქრებულვარ, რატომ უჭირს პეტროსიანს თამაში სწორედ პორტიშთან-მეთქი და იმ დასკვნამდე მივედი, რომ მსოფლიო ჩემპიონი ვერ იტანს ბოტვინიკ — პეტროსიანის სტილის ნაერთს.

— მაშასადამე, პორტიშს აქვს მსოფლიო ჩემპიონობის მოპოვების შანსი?

— ვფიქრობ, რომ არა. ჩემპიონების სტილში თამაში ჯერ კიდევ არ ნიშნავს მათი ძალით თამაშს...

ვ. ხენკინი,
სპორტის ოსტატი.



გაუქმდეს საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის გადაწყვეტილება!

სპორტის მილიონობით საბჭოთა მოყვარულისა და საკავშირო ფედერაციების სახელით სსრ კავშირის სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების ცენტრალურმა საბჭომ საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტს მოუწოდა გაუქმოს გადაწყვეტილება მეხიკოს ოლიმპიადაში სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის დაშვების თაობაზე. განცხადებაში, რომელიც 5 მარტსაა გამოქვეყნებული, ნათქვამია, რომ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ეს გადაწყვეტილება განიხილება, როგორც „საზოგადოებრივი აზრის გამოწვევა“, იგი „მძიმე შედეგებს მოუტანს თვით ოლიმპიურ მოძრაობას და XIX ოლიმპიური თამაშების ჩაშლის საშიშროებას ქმნის“.

საბჭოთა სპორტული მოძრაობის ხელმძღვანელმა ორგანომ სოლიდარობა გამოუცხადა აფრიკელ სახელმწიფოებს, ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტებს, რომლებმაც დაგმეს საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პოზიცია.

განცხადებაში ხაზგასმულია, რომ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის წევრებმა, რომლებმაც ხმა მისცეს ამ გადაწყვეტილებას, თვითონვე უხეშად დაარღვიეს ოლიმპიური ქარტია, რომელიც კრძალავს სპორტსმენთა დისკრიმინაციას პოლიტიკური, რასობრივი და რელიგიური ნიშნებით.

ეს პრაქტიკულად ნიშნავს აპარტეიდის პოლიტიკის მხარდაჭერას. აპარტეიდი ხომ ყველაზე საზიზღარი და მკაცრი ფორმაა რასობრივი დისკრიმინაციისა და ფაშისტური თვითნებობისა, რომელიც ამჟამად მძვინვარებს სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში. ამ რესპუბლიკის ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტში არ შედის ქვეყნის ძირითადი მოსახლეობის არც ერთი წარმომადგენელი, ხოლო ოლიმპიური თამაშებისთვის შესარჩევი შეჯიბრებების სპორტული პრინციპის ნაცვლად გამეფებულია ადმინისტრაციული შერჩევა, რომელსაც თეთრი ხელმძღვანელები განახორციელებენ.

უცხადებს რა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის გადაწყვეტილებას პროტესტს, ცენტრალური საბჭოს კარგად ესმის, თუ რა უხერხულ მდგომარეობაში ვარდებიან მეხიკოს ოლიმპიადის ორგანიზატორები, რომლებმაც ბევრი რამ გააკეთეს მისი მომზადებისთვის.

ვინ იფიქრებდა, რომ სსრ კავშირის მოთხილამურე ქალები გრენობლში ოქროს ვერ მოიპოვებდნენ, ვინ წარმოიდგენდა, რომ შვედი ტ. გუსტავსონი 5 და 10 კილომეტრზე რბენაში ყველა მეტოქეს დაამარცხებდა? მაგრამ ახლა მთელმა მსოფლიომ იცის, რომ იგი გრენობლიდან შინ ოქროს 2 მედლით მკერდდამშვენებული დაბრუნდა.

გუსტავსონი რომ ბრწყინვალე მოთხილამურეა, ეს შემდგომმა ტურნირებმაც დაადასტურა. ამ დღეებში კი X თეთრი ოლიმპიადის ორგზის გმირი ისევ პირველი იყო ფინეთის სათხილამურო ფედერაციის 60 წლისთავისადმი მიძღვნილ შეჯიბრებაში, რომელიც ლაჰტიში გაიმართა. ტურნირში 10 ქვეყნის 120 სპორტსმენი მონაწილეობდა. 10 კილომეტრზე რბენაში გუსტავსონმა ყველა ოდლად დაამარცხა.

ამ სურათზე, რომელიც ოლიმპიადაზე ოტრანის მიდამოებშია გადაღებული, 5 კილომეტრზე რბენის პრიზიორებს ხედავთ. ესენი არიან: გუსტავსონი (შუაში), II პრიზიორი ბ. კულაკოვა (მარცხნივ), III პრიზიორი ა. კოლჩინა (მარჯვნივ).



„ოლიმპიური ჰულლები“ ოლიმპიადამდე

ოლიმპიური თამაშების წინა სეზონში გამართული ევროპული და მსოფლიო ჩემპიონატებისა თუ სხვა დიდი საერთაშორისო ტურნირების შედეგების მიხედვით გუნდების კლასიფიკაცია და, აქედან გამოშდინარე, ოლიმპიური ქულების გამოთვლა კარგა ხანია ტრადიციად დამკვიდრდა. ეს მომავალი ოლიმპიური თამაშებისთვის მზადების ერთგვარი საზომია და ვარაუდი უმეტესად მართლდება. მაგალითად, XVIII ოლიმპიადის არაოფიციალურ გუნდურ ჩათვლაში ამგვარი გაანგარიშებით პირველობა სსრ კავშირის სპორტსმენებს უნდა ჰოპოვებინათ, აშშ-ს ათლეტები კი II ადგილზე უნდა გასულიყვნენ. მაშინ ოლიმპიადაში მონაწილეობის მსურველ სხვა ქვეყნებსაც მიეჩინეს ადგილები. როგორც თამაშებმა დაადასტურა, პირველობა მართლაც სსრ კავშირის ოლიმპიელებმა მოიპოვეს, ხოლო II ადგილზე ამერიკელები გავიდნენ.

შარშან ეურნალმა „სპორტ ზა რუბეჟომ“ თავის ერთ-ერთ ბოლო ნომერში გამოაქვეყნა სეზონში ჩატარებული ევროპული და მსოფლიო პირველობების, თასების გათამაშების, დიდი საერთაშორისო შეჯიბრებების შედეგებით გამოთვლილი „ოლიმპიური ქულები“ და ადგილები.

მეხიკოს XIX ოლიმპიური თამაშების წინ ოლიმპიური ქულები ასე განაწილდა:

1. სსრ კავშირი — 739 (ტოკიოს თამაშებში — 608,3)
2. აშშ — 714 (581,8)
3. გდრ — 262 (125,5)
4. უნგრეთი — 175 (174)
5-6. იაპონია — 172 (235) გფრ — 172 (198,5)
7. პოლონეთი — 149 (151,5)
8. საფრანგეთი — 120,5 (97)
9. ჩეხოსლოვაკია — 115,5 (101)
10. რუმინეთი — 115 (94)
11. იტალია — 101,5 (185)
12. ინგლისი — 87,5 (135,5)
13. ავსტრალია — 83,5 (130,5)
14. კანადა — 67,5 (37)
15. შვეცია — 61 (68,5)
16. ჰოლანდია — 48,5 (70)
17. ბულგარეთი — 47,5 (65,5)
18. დანია — 44 (38)
19. ირანი — 37 (17,3)
20. ბელგია — 36 (19,8)
21. თურქეთი — 32 (38)
22-23. ფინეთი — 28,5 (39,5) კუბა — 28,5 (7)
24. კენია — 26,5 (7)
25. მექსიკა — 24,5 (6,5)

როგორც ხედავთ, შარშან სოციალისტური ქვეყნების აქციებმა საგრძნობლად აიწია: ტოკიოს ოლიმპიადის შემდეგ მაჩვენებლები ათმაღლეს სსრ კავშირის, გდრ-ის, ჩეხოსლოვაკიის, რუმინეთის, კუბის სპორტსმენებმა. ძველ დონეზე რჩებიან უნგრელები, ხოლო პოლონეთისა და ბულგარეთის გუნდებმა პოზიციები დათმეს.

კაპიტალისტური ქვეყნების გუნდები უმეტესად ჩამორჩნენ. მაგალითად, იაპონელებს, რომლებიც შინ IV ადგილზე გავიდნენ, მექსიკაში V-VI ადგილებს უწინასწარმეტყველებენ. ბევრი დაკარგეს გფრ-ის სპორტსმენებმაც. ტოკიოში ისინი საკმაო ძალას წარმოადგენდნენ გდრ-ის გუნდთან ერთად, მეხიკოში კი საკუთარი თავის იმედით მიდიან და მხოლოდ V-VI ადგილზე გასვლის შანსი აქვთ.

პოზიციები დათმეს იტალიამ, ინგლისმა, შვეციამ, ჰოლანდიამ... რაც შეეხება ავსტრალიის ოლიმპიურ კომიტეტს, მას შედეგების გაუმჯობესების არავითარი იმედი არა აქვს და ამიტომ წინასწარ შეამცირა მეხიკოში წამსვლელ ოლიმპიელთა რიცხვი. უნდა ვივარაუდოთ, რომ მომავალ თამაშებში ავსტრალია შესაძლოა თხუთმეტ საუკეთესოს შორისაც ვერ მოხვდეს.

გავეცნოთ წინაოლიმპიურ ქულებს ცალკეულ სახეობებშიც. მეხიკოში ყველაზე მეტ ქულას უწინასწარმეტყველებენ: სსრ კავშირს — კალათბურთში — 7, კრიგში — 29,5, თავისუფალ ჭიდაობაში — 44, კლასიკურ ჭიდაობაში — 38, ვაჟთა ფრენბურთში — 7, წყალში ხტომაში (ქალები) — 19, ტყვიის სროლაში — 46, ძალოსნობაში — 40, ფარიკაობაში (ვაჟები და ქალები) — 67. რაც შეეხება ფეხბურთს, გამარჯვების ერთნაირი შანსი აქვთ სსრ კავშირისა და უნგრეთის გუნდებს.

უპირატესობა ამერიკელთა მხარეს იქნება მძლეოსნობაში (ქალები და ვაჟები) — 246,5, ცურვაში (ქალები და ვაჟები) — 306,5, წყალში ხტომაში (ვაჟები) — 18.

გდრ-ს დიდი იმედი უნდა ჰქონდეს ნიჩბოსნობისა — 32, გფრ-ს — ცხენოსნობისა — 27 და ბალახის ჰოკეისა — 7, იტალიელებს — ველოსიპედისტებისა — 28, იაპონელებს — ტანმოვარჯიშე ვაჟებისა — 76,5 და ფრენბურთელი ქალებისა — 7, იუგოსლავიელებს — წყალბურთელებისა — 7, ჩეხოსლოვაკიელებს — ტანმოვარჯიშე ქალებისა — 66, ინგლისელებს — აფრთხილებისა — 17, უნგრელებს — ხუთჭიდელებისა — 17.

ოლიმპიადისთვის ინტენსიურმა მზადებამ ზოგიერთი სახეობის ჩათვლაში შეიძლება ერთგვარი ცვლილება მოახდინოს, მაგრამ, როგორც სპეციალისტები ვარაუდობენ, საერთო არაოფიციალურ გუნდურ ჩათვლაში სპრინტი ადგილების განაწილებაზე ეს გავლენას ვერ იქონიებს.

მეხიკოს სტარტებამდე კიდევ რამდენიმე თვეა. ვნახოთ, ამჯერად რამდენად გამართლდება ვარაუდი.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

ᲥᲐᲠᲗᲚᲘ ᲥᲠᲝᲜᲘᲙᲐ

● **მოსკოვი, 4 მარტი.** დღეს მადრიდს გაემგზავრა სსრ კავშირის „მძლეოსანთა რაზმი“ — 40-მდე სპორტსმენი. ისინი მონაწილეობას მიიღებენ ევროპის ზამთრის III თამაშებში, რომელიც 9-10 მარტს გაიმართება ესპანეთის დედაქალაქში. გუნდის შემადგენლობაში არიან მსოფლიო რეკორდსმენი სიგრძეზე ხტომაში, მოსკოველი ი. ტერ-ოვანესიანი, ევროპის რეკორდსმენი ბირთვის კვრაში ვ. გუშჩინი (მოსკოვის ოლქი), ევროპის ჩემპიონი, ლენინგრადელი ბირთვის მკვრელი ნ. ჩიჟოვა, კიეველ ჭ. კუდინსკი და სხვ. პარიზში საკრებს შეუერთდება ჯგუფი სპორტსმენებისა, რომლებიც ამერიკის დარბაზებში გამოდიოდნენ — ტ. ტალიშევა, ა. ოკოროკოვი, ვ. გავრილოვი, ტ. ლებედევი, ო. რაიკო და ვ. სამეია. მადრიდის შეჯიბრების პროგრამაშია მძლეოსნობის 14 სახეობა.

● **ტალინი, 4 მარტი.** „კალევის“ აუზში გაიმართა ზამთრის პირველი საკავშირო პირად-გუნდური შეჯიბრება წყალქვეშა სპორტში. თუ ადრე საბჭოთა სპორტსმენები მხოლოდ მრავალჭიდში (ფარფლებით ცურვა, ყვინთვა, წყალქვეშა ორიენტირება) ასპარეზობდნენ, ახლა დამუშავებულია ცალკეულ სახეობებში შეჯიბრების საკლასიფიკაციო ნორმების პროექტი. სიახლე სასარგებლო გამოდგა. სტარტზეკე ქვეყნის უმაღლესი მიღწევა დაამყარა ესტონელმა სპორტის ოსტატმა ლ. ტოომანმა. მან 15,6 წამში გაცურა 40 მეტრი ყვინთვითა და ფარფლების დასმარებით. ქვეყნის ორგზის აბსოლუტური ჩემპიონი, ესტონელი ტ. კაარტი უძლიერესი იყო 500 მეტრზე ცურვაში — 6.09,0. მისმა თანამემამულემ პ. ვაიკმა მოიგო 1000 მეტრზე ფარფლებით ცურვა — 10.33,4. ფარფლებით 500 მეტრზე ცურვაში მსოფლიოს უმაღლესი მიღწევა დაამყარა წარსულში ჩვენი ქვეყნის თერთმეტგზის ჩემპიონმა თავისუფალი სტილით ცურვაში უ. ინდრიკსონმა — 5.49,3. 1000 მეტრზე ცურვაში ვაჟებიდან ყველას მოსკოველმა ა. კრასნიკოვმა აჯობა — 11.04,9. ეს ქვეყნის ახალი მიღწევაა. პირველად მოეწყო გასამხედროებული ესტაფეტა (3×50 მ) ტანსაცმლითა და ავტომატის მაკეტით. გაიმარჯვეს ლენინგრადელებმა — 1.47,2. გუნდური პირველობა ესტონელებმა მოიგეს, II ადგილზე გავიდნენ მოსკოვის, III — უკრაინის სპორტსმენები.

„ᲔᲜᲘᲥᲔᲚᲘᲡ“ ᲗᲐᲡᲖᲔ

ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘ

ᲒᲐᲗᲐᲛᲐᲨᲔᲑᲘᲡ ᲪᲮᲠᲘᲚᲔᲑᲘ

მდგომარეობა 6 მარტისათვის

I ჯგუფი

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„დინამო“ (მოსკოვი)	3	2	0	1	5—2	4
„პატტაკორი“ (ტაშკენტი)	3	1	2	0	3—2	4
„შაბტიორი“ (დონეცკი)	3	1	2	0	2—1	4
„პოლიტოტდელი“ (ტაშკ. ოლქი)	3	0	2	1	2—4	2
„კაირატი“ (ალმა-ათა)	3	1	0	2	2—3	2
„კრ. სოვეტოვი“ (კუიბიშევი)	3	1	0	2	1—3	2

II ჯგუფი

„ახტ“ (როსტოვი)	3	3	0	0	6—0	6
„არარატი“ (ერევანი)	3	1	2	0	3—2	4
„სპარტაკი“ (მოსკოვი)	3	1	1	1	3—2	3
„ზენიტი“ (ლენინგრადი)	3	1	1	1	2—3	3
„ჩერნომორეცი“ (ოდესა)	3	0	1	2	2—4	1
„ᲨᲣᲥᲘᲜᲘ“ (ცრასნოდარი)	3	0	1	2	0—5	1

III ჯგუფი

„ტორპედო“ (მოსკოვი)	4	2	1	1	5—4	5
„ტორპედო“ (ქუთაისი)	3	1	2	0	3—1	4
„ლოკომოტივი“ (მოსკოვი)	3	1	2	0	3—1	4
„დინამო“ (მინსკი)	3	1	1	1	2—2	3
„დინამო“ (კიევი)	3	0	2	1	0—1	2
„დინამო“ (თბილისი)	4	0	2	2	4—8	2

IV ჯგუფი

„ლოკომოტივი“ (თბილისი)	3	2	1	0	4—1	5
„ნეფტიანიკი“ (ბაქო)	3	2	0	1	5—3	4
„დინამო“ (ბათუმი)	3	1	1	1	3—4	3
„ზარია“ (ლუგანსკი)	3	1	0	2	4—4	2
„მეშახტე“ (ტყიბული)	3	1	0	2	3—4	2
„დინამო“ (ყიროვაბადი)	3	1	0	2	2—5	2

▲ **ფორტ-ლამა** (ჩადის რესპუბლიკა). 23 წლის ბ. დ. დე გოლმა 110 მეტრზე თარჯრბენში წლევანდელი სეზონის საუკეთესო შედეგი (14 წამი) აჩვენა და თავისი ქვეყნის ახალი რეკორდი დაამყარა.

▲ **იაგლონიცე** (ჩეხოსლოვაკია). ევროპის ზამთრის III ჩემპიონატისთვის მზადების პერიოდში აქ გაიმართა ტურნირი, რომელშიც ქვეყნის 4 რეკორდი გაუმჯობესდა. ამ რეკორდების ავტორები არიან: კრეიეი (50 მეტრზე რბენაში — 5,6) და კოტეკი (50 მეტრზე თარჯრბენში — 6,4); პუტნოვა (50 მეტრზე რბენაში — 6,4) და ბრეიკროლოვა-ზაიფერტოვა (50 მეტრზე თარჯრბენში — 6,9).

▲ **ბერლინი.** „დინამოს“ დარბაზში გაიმართა მძლეოსანთა საერთაშორისო ტურნირი. შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ გდრ-ის, რუმინეთის, ჩეხოსლოვაკიის, ინგლისის, ბულგარეთის, სსრ კავშირისა და სხვა ქვეყნების ათლეტები. ქალებიდან 400 მეტრზე რბენაში გდრ-ის რეკორდი დაამყარა რ. კიუნემ — 56,2. 60 მეტრზე თარჯრბენში ევროპის მიღწევა გაიმეორა ა. სინიცინმა (სსრკ) — 7.0.

▲ **ერნციოლდსვიკი** (შვეცია). აქ ჩატარდა მოთხილამურეთა საერთაშორისო ტურნირი „ერთიულთა ესტაფეტები“. ვაჟებს ოთხ-ოთხკერ უნდა შემოეღოთ 2,5-კილომეტრიანი წრე, ჭაბუკებსა და ქალებს — სამ-სამჯერ. ვაჟებში ყველას აჯობა ო. მარტინსენმა (ნორვეგია) — 35.10,0, ქალებში ბ. მარტინსონმა (შვეცია) — 31.53,0; ჭაბუკებში — ს. მერტენსონმა (შვეცია) — 28.47,0.

▲ **შეფილდი.** კროსში ჩრდილოეთ ინგლისის ჩემპიონი გახდა მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო სტაიერი რ. ჰილი, რომელმაც 9 მილი (14,4 კმ) 44 წუთსა და 54 წამში გაირბინა.

▲ **მადრიდი.** იმ დარბაზში, რომელმაც კონტინენტის მორიგ ჩემპიონატს უნდა უმასპინძლოს, მოეწყო ადგილობრივ მძლეოსანთა ტურნირი „დიდ პრიზზე“. შეჯიბრებაში რუმინეთის, პორტუგალიის, გფრ-ისა და იტალიის სპორტსმენებიც მონაწილეობდნენ. სარბიელზე გამოვიდნენ მხოლოდ ვაჟები. მასპინძელთა წარმომადგენელმა მაგარინოსმა ქვეყნის ახალი მიღწევა აჩვენა 400 მეტრზე რბენაში — 48,6, გარიგამ — სიმაღლეზე ხტომაში — 209 სმ.

▲ **ბრატისლავა.** სიმაღლეზე მხტომელი ვ. ფაიტოვა 176 სმ-ზე გადახტა და ჩეხოსლოვაკიის ახალი მიღწევა დაამყარა. მისი მაჩვენებელი ეროვნული რეკორდის გამეორებაცაა.

ᲖᲐᲛᲗᲠᲘᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲣᲠᲘ ᲡᲐᲪᲣᲠᲐᲝ ᲐᲣᲖᲘ
(ი. ჭავჭავაძის პრ. № 49-ბ)



6-14 მარტი
ᲬᲧᲐᲚᲑᲣᲠᲗᲘ
ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ
ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘ
6 ᲛᲐᲠᲢᲘᲡ ᲨᲔᲯᲕᲔᲓᲠᲔᲑᲘᲗ
ᲙᲐᲚᲔᲜᲓᲐᲠᲘ

17 ს. სამხედრო - საზღვაო ფლოტის ცენტრალური საწყლოსნო სპორტკლუბი (მოსკოვი) — „ბალტიკა“ (ლენინგრადი)
18 ს. „დინამო“ (ლვოვი) — „სპარტაკი“ (ვოლგოგრადი)
19 ს. „დინამო“ (თბილისი) — „კასპიის ფლოტილია (ბაქო)
20 ს. მოსკოვის უნივერსიტეტი — „დინამო“ (მოსკოვი)
21 ს. „ტორპედო“ (მოსკოვი) — „დინამო“ (კიევი)

ᲙᲐᲚᲐᲗᲑᲣᲠᲗᲘ. სპორტის სასახლე. ვაჟთა გუნდების საკავშირო პირველობა. „ა“ კლასი. 7-8 მარტი. „ბურევესტნიკი“ (თბილისი) — „კალევი“ (ტარტუ). დასაწყისი 20 ს.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა ლენინის ქ. № 14. 8 უე 03974